

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება №:124/01-01 საფუძველზე - ფიზიკის დეპარტამენტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოფიზიკის კათედრა (ინტერდისციპლინური) - გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილების პუნქტი 9-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

„17“ აგვისტო, 2020 წ.

18:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი: 1. პროფ. თამაზ მძინარაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. დიანა ძიძიგური (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. მანანა გორდუზიანი (კომისიის მდივანი), 4. ასოც. პროფ. ოლეგ ხარშილაძე, 5. თსუ-ს ემერიტუსის ელუარდ ჩიკვაძე.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა ბიოფიზიკა (ინტერდისციპლინური), ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამაზ მძინარაშვილის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯამების შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ზურაბ ქუჩუკაშვილის განათლება -1994-1998წწ თსუ ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის ბაკალავრიატი - ბიოლოგიის ბაკალავრი -მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი; 1998 -2000წწ თსუ ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრატურა - მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგის მაგისტრი, სპეციალობა ბიოფიზიკა.

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - დოქტორის აკადემიური ხარისხი; ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გრიფით 03.00.02 - ბიოფიზიკა;

სამსახურებრივი გამოცდილება 2002 – 2005წწ - ბიოლოგიისა და ბუნების მეტყველების მასწავლებელი, 2004–2006წწ - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ლაბორატორიული და რადიაციული ჯგუფის უფროსი, 2001 – 2006 წწ თსუ ბიოფიზიკის კათედრაზე არსებული კანცეროგენეზის მოლეკულური მექანიზმების შემსწავლელი პრობლემური ლაბორატორიის ლაბორანტი და შემდეგ მეცნიერ თანამშრომელი, 2007-2010 თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ლაბორატორიის გამგე, 2010 წლიდან

- დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოფიზიკის ინტერდისციპლინური მიმართულების ასისტენტ-პროფესორი.

და პედაგოგიური სტაჟი - 6 წელზე მეტი, (კონკურსანტის მიერ მოწოდებული ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო კურსი თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით არის გათვალისწინებული) შესაბამემა ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა - (1. სახელმძღვანელო: “Manual For Students And Laboratory Specialists”, 2020 წელი, <http://www.ag-lab.org/en/node/25>; 2. სახელმძღვანელო: “კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია 1”, 2015 წელი; 3. სახელმძღვანელო: “ქიმიური და სხვა ლაბორატორიის ტექნიკური ასისტენტის დამხმარე სახელმძღვანელო”, 2013 წელი; 4. სახელმძღვანელო: „სურსათის უვნებლობა და ხარისხი“, 2011 წელი; 5. „ბიომეცნიერების საბაკალავრო პროგრამების დარგობრივი სტანდარტული დებულებები“, 2012 წელი;

ელექტრონული სალექციო კურსები: „ბიოფიზიკა“; „საკვები პროდუქტების ბიოტექნოლოგია -1“; ბიოანტიოქსიდანტები ნორმასა და პათოლოგიურ მეტაბოლურ რეგულაციაში; ბიოუსაფრთხოების პრინციპები; საკვები პროდუქტების ლაბორატორიული კვლევის პრინციპები; ლაბორატორია 1; ბიოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდები), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (17) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ფიზიკის, ბიოლოგიის დეპარტამენტების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“**.

III კატეგორია- სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 12 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 16 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 16 საგრანტო პროექტის მუშაობაში. ზ. ქუჩუკაშვილის ციტირების ინდექსია 88, იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის უკრაინის, მოლდოვას, არგენტინის, ინგლისის უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები). მისი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ იგი არის საბაკალავროდა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, სადისერტაციო დაცვის კომისიის წევრი. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი (ბიოლოგია, ბიოტექნოლოგია, სურსათის მეცნიერებები), საქართველოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ბიოლოგიის ექსპერტი/გამსწორებელი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონკურსო კომისიის წევრი / ექსპერტი (ბიოლოგია, ბიოტექნოლოგია). ზურაბ ქუჩუკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიანტი, იყო ჯორჯ შულცის სტიპენდიანტი და ჯორჯ სოროსის სახელობის ოთხგზის სტიპენდიანტი,

ზურაბ ქუჩუკაშვილის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება - კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია:

ზურაბ ქუჩუკაშვილი- 5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - ბიოფიზიკა (ინტერდისციპლინური) - ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმები #1) და II (ოქმი #2) ეტაპების შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:






**ფიზიკის დეპარტამენტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი
კათედრა - ბიოფიზიკა (ინტერდისციპლინური)**

ზურაბ ქუჩუკაშვილი-ასოცირებული პროფესორი

- კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 17.08.2020

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.		/თ. მძინარაშვილი/
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.		/დ. მიძიგური/
კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.		/მ. გორდუზიანი/
კომისიის წევრი, თსუ ემერიტუსი		/ე. ჩიკვაძე/
კომისიის წევრი, ასოც. პროფ.		/ო. ხარშილაძე/